საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

ქ. ოზურგეთი 16 მარტი, 2015 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2015 წლის 15 თებერვლიდან 13 მარტის ჩათვლით კომისიამ ჩაატარა გაერთიანებული სხდომა სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასთან ერთად. აღნიშნული კომისიაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხი:

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მ. გორგოშიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის N403 19.02 წერილის განხილვა.

მომხსენებელი: შ. ართმელაძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბახვის ტერიტორიული ორგანოს მცხოვრებთა განცხადების თაობაზე შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი: შ. ართმელაძე

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხა.

მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა რა, მოწოდებული მასალების შესაბამისად, არ არსებობს სოფ. ძიმითის ქარსაფარი ზოლების საინვენტარიზაციო აქტი, სადაც მოქალაქე ვახტანგ მელუას საკუთარ ეზოში არსებული ხეები შეტანილი არ არის (აქტი თან ერთვის). გამომდინარე აქედან, აღნიშნული ხეები ქარსაფარ ზოლს არ მიეკუთვნება, ამდენად, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი შემდგომში რეაგირებისათვის გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს, ძიმითის ტერიტორიულ ორგანოში.

მესამე საკითხთან დაკავშირებით 2015 წლის 11 თებერვლას სამუშაო ჯგუფთან, მუნიციპალიტეტის გამგეობის იურისტთან და სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარესთან ერთად, ადგილზე შევხვდით განცხადების ადრესატს, დავათვალიერეთ შენობა-ნაგებობები და მიმდებარე ტერიტორია, რაც სადაო საგანს წარმოადგენს. სიღრმისეულად გავეცანით განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს, ამჟამად მიმდინარეობს დასკვნაზე მუშაობა.

კომისიის თავმჯდომარე: **შოთა ართმელაძე**